სსკგ-ის მდივანმა რელიგიათაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობა მიიღო ფორუმში „რელიგია და მსოფლიო“

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 27.10.2022. 26 ოქტომბერს ქრისტე მაცხოვრის ტაძრის საეკლესიო კრებების დარბაზში გაიხსნა მოსკოვის VIII საერთაშორისო ფორუმი „რელიგია და მსოფლიო“, რომელიც მიმდინარე წელს ეძღვნება თემას „სოციალური მსახურება მშვიდობის გზაზე“. პლენარული სხდომის მოდერატორად გამოვიდა ტრადიციული სულიერი ფასეულობების დაცვის სთანადგომო კავშირის „ქრისტიანული მშვიდობის“ პრეზიდენტი, НИЯУ МИФИ-ის ახალგაზრდული პოლიტიკის დეპარტამენტის ექსტრემიზმის პროფილაქტიკისა და ახალგაზრდების გარემოში დევიანტური ქცევის დირექციის განვითარების სტუდენტური გაერთიანებების ცენტრის დირექტორი ა.ა. ჩერქეზოვი.

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების რელიგიათაშორისო ურთიერთობების მდივანი, რუსეთის რელიგიათაშორისო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი მღვდელი დიმიტრი საფონოვი ფორუმის მონაწილეებს მიესალმა სსკგ-ის თავმჯდომარის ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონის სახელით. თავის გამოსვლაში მან წარმოადგინა ომსა და მშვიდობასთან რუსეთის

მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულების ანალიზი, ილაპარკა ეკლესიის სამშვიდობო მსახურების ისტორიაზე.

ღონისძიების გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ: რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის შიდა პოლიტიკის სამმართველოს რეფერენტი ა.ვ. ტრეტიაკოვი, ნაციონალური პილიტიკისა და ქ. მოსკოვის რეგიონთაშორისო კავშირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვ.ი. სუჩკოვი, რუსეთის ფედერაციის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტროს ინფორმაციული პოლიტიკისა და კომპლექსური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ე.ვ. ბოლდირევი.

ფორუმზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმო სირიის წარმომადგენლების გამოსვლას, რომელთა შორის იყვნენ: ალეპოსა და ალექსანდრეთის მიტროპოლიტი ეფრემი (ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესია), ჰომსის, ქამისა და ტარტუსის მთავარეპისკოპოსი ტიმოთე მათა ალ-ხური (სირია-იაკობიტური ეკლესია), არაბეთის რესპუბლიკის სირიის პარლამენტის დეპუტატი, პროტეზირების ასოციაციის დირექტორების საბჭოს თავმჯდომარე ხილალ რაიმონი, ინვალიდების დახმარების ფონდის „ამალის“ მმართველობის წევრი მოჰამედ-ამერ ალ მარდინი. ფორუმში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში სირიის ქრისტიანული თემების მრავალი წარმომადგენელი ჩამოვიდა „ქრისტიანული სამყაროს“ კავშირის დახმარებით.

უნეტარესი პატრიარქის თეოფილე III-ის კურთხევით იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგინა არქიმანდრიტმა მელეტიმ (ბასალი), იერუსალიმის ძველ ქალაქში ღვთისმშობლის შობის ადგილზე მდებარე წმინდა ანნას (წმ.წმ. იოაკიმესა და ანნას) სახ. მონასტრის წინამძღვარმა. სებასტიის მთავრეპისკოპოსმა თეოდოსიმ შეხვედრის მონაწილეებს ვიდეომიმართვა გაუგზავნა.

ეკლესიის ქველმოქმედებისა და სოციალუროი მსახურების სინოდალური განყოფლების თავმჯდომარის ვერეის ეპისკოპოს პანტელეიმონის მისალმება წაიკითხა დეკანოზმა მიხეილ პოტოკინმა, მოსკოვის (საქალაქო) ეპარქიის სოციალური მსახურების განყოფილების თავმჯდომარემ. სომხეთის სამოციქულო ეკლესიის რუსეთისა და ნოვო-ნახიჩევანის ეპარქიის მმართველის ფორუმისადმი მისალმების გზავნილი წაიკითხა ეპარქიის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელმა დიაკონმა მიქაელ ფარსადანიანმა. ასევე გაისმა რუსეთის მუსულმანთა სულიერი კრების მეთაურის ა. კრგანოვის მისალმება (გაახმიანა დ. მუსტაფინმა, რუსეთის მუსულმანთა სულიერი კრების მეთაურის მოადგილემ). ცენტრალური ხურულის „ბუდა შაკიამუნის ოქროს სავანის“ (ქ. ელისტა) მთავარი ადმინისტრატორი იონტენ-გელიუნგი შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა ყალმუხეთის ბუდისტური თემის სახელით. დიდი ინტერესი გამოიწვია მ.ვ. ლომონოსოვის სახ. МГУ-ს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის ა.ა. მასლოვის გამოსვლამ თემაზე „ახალი რელიგიური კვლევები აზიაში და სოციუმის იდენტობის საკითხები“.

გახსნის ცერემონიის დასასრულს შედგა შეთანხმების ხელმოწერა ტრადიციული სულიერი ფასეულობების დაცვის სათანამდგომლო კავშირს „ქრისტიანულ სამყაროსა“ და საქველმოქმედო ფონდ „РУССАР“-ს შორის. შეთანხმების ქვეშ ხელი მოაწერეს ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ა.ა ჩერქეზოვმა და ო.ი. ფომინმა.

ფორუმში, რომელიც 28 ოქტომბერს დასრულდება, მონაწილეობას იღებენ რუსეთისა და რიგი სხვა ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ღონისძიების პირველ დღეს შედგა პანელური დისკუსია „საზოგადოებრივი დიპლომატია და კულტურათაშორისო დიალოგი“, რომლის მოდერატორადაც გამოვიდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველი შიდა პოლიტიკის საქმეებში პ.ნ. კოსტილევი. მღვდელმა დიმიტრი საფონოვმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „რალიგიათაშორისო დიალოგის აქტუალური საკითხები, რომელსაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ახორციელებს“. მოხსენებაში მან მიმოიხალა ამ სამუშაოს ძირითადი მიმართულებები. მის მიერ დაწვრილებით იქნა წარმოდგენილი დიალოგები ისლამურ თემებთან, კერძოდ, ირანის კულტურისა და ისლამური კავშირების ორგანიზაციასთან, „ალ-ხაზარის“ უნივერსიტეტთან და სხვებთან. მომხსენებელმა ასევე ილაპარაკა უწმინდესი პატრიარქის კირილესა და სსკგ-ის თავმჯდომარის ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონის უკანასკნელი შეხვედრების შესახებ ისლამური სამყაროს წარმომადგენლებთან და გამოყო რელიგიათაშორისო დიალოგის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89746/